ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

თბილისი
2021

შ.პ.ს. “თბილინვესტპროექტი“

ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტის”
დირექტორი თ. ხევცურიანი

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი გ. სადრაძე

სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია ---------- 3
3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები ---------- 4
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 5
5. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 10

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 გვ
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ---------- 3 გვ
ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი ---------- 6 გვ
ლაბორატორიული კვლევების ჯამური უწყისი ---------- 2 გვ
გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები ---------- 18 გვ
გრუნტების კომპრესიაზე გამოცდის შედეგები ---------- 3 გვ
გრუნტის სიმტკიცეზე გამოცდის შედეგები ---------- 5 გვ
წყლის ქიმიური ანალიზი ---------- 6 გვ
სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 5 გვ

ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

1. შესავალი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია ს.ს. "ფროფერთი"-სა და შ.პ.ს. “თბილინვესტპროექტი”-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების და თანდართული ტექნიკური დავალების საფუძველზე. შ.პ.ს “თბილინვესტპროექტი” რეგისტრირებულია საქართველოში 1999 წლის 1 ოქტომბერს, რეგისტრაციის №ა/4100/4-10, საიდენტიფიკაციო კოდი 249263416. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესრულება.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი №01.10.07.007.154-ის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, სამშენებლო მოედანზე არსებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოლოგიური მოვლენების შეფასება. ტექნიკური დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ოცდახუთსართულიანი შენობა სარდაფის ორი სართულით. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ზომებით 60,9 x 29,4 მ. შენობის ტიპი – კარკასული. საძირკვლის სავარაუდო ტიპი –– დადგინდება გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია”, არქივში მოძიებულია შედარებისთვის გამოყენებულია შ.პ.ს “თბილინვესტპროექტი”-ს მიერ 2020 წელს ახლოს მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.06.001.248) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მასალები, უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლო-

გიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 6 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 135,0 გრძ/მ. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი დანადგარით УРБ 2-А2-ის საშუალებით, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. ბურღვის პარალელურად მიმდინარეობდა გრუნტებიდან ნიმუშების აღება, რომლებზეც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები შ.პ.ს "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე ანგარიში. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 02.01-08 –– (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), პნ 01.01-09 –– (სეისმომედეგი მშენებლობა), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები: კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2021 წლის ოქტომბერში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში. ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია, საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი –– 146 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ –– 0,73 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –– 0,85 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ –– შესაბამისად 28, 33, 35, 36, და 37 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე: –– 0 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A-0,17.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია მდებარეობს დიღმის დეპრესიის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე, წოწორას ხევის ფარგლებში. სამშენებლო მოედნის რელიეფი ტექნოგენურია, მისი სამხრეთი ნაწილი 18-20 მ-ის სიმაღლის 60º ქანობის მქონე ფერდობით მთავრდება. ფერდობი ნაყარი გრუნტით არის აგებული, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, დიდი დიღმის განაშენიანების დროს, ახლომდებარე მშენებარე შენობების ქვაბულებიდან ამოღებული გრუნტით არის შექმნილი და რომლითაც წოწორას ხევის კალაპოტი არის ამოვსებული. ამჟამად წოწორას ხევი ბეტონის კოლექტორშია მოქცეული. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან შ.პ.ს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს ავტობუსების ავტოპარკის ტერიტორია ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 480,0 – 500,5 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

უბნის ერთ-ერთ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. წოწორასხევი, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, რომელიც სათავეს იღებს მუხათგვერდის ქედის აღმოსავლეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 840 მ-ის სიმაღლეზე, სიგრძე – 7,5 მ. მდინარის ზედა წელში ხევი ჩაჭრილია ოლიგოცენურ ქანებში, ქვედა წელში – მეოთხეულ ნალექებში. ამჟამად, მდ. წოწორასხევი ბეტონის კოლექტორშია მოქცეული და ტერიტორიაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონის აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ზონა ხასიათდება პალეოგენური დანალექი ფლიშური ნალექების ფართო გავრცელებით. ქანები წარმოდგენილნი არიან განედური განვრცობის სუსტად შეკუმშული, შედარებით დამრეცი ნაოჭებით. თბილისის რაიონში განლაგებულია რამოდენიმე კარგად გამოხატული ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭი. ჩრდილოეთიდან ტერიტორია შემოსაზღვრულია ხევძმარ-დიღმის სინკლინით, რომლის ფარგლებში მდებარეობს საკვლევი ტერიტორია.

იგი აგებულია ზედა ეოცენური ასაკის გრაუვაკული ქვიშაქვებით და ფორამინიფერებიანი მერგელებით. ზემოდან ეს ნალექები გადაფარულია ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ასაკის (მაიკოპის სერია) ზღვიური მოლასური ნალექებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან კარბონატული და ფიქლისებრი თიხები ქვიშაქვების და კონგლომერატების შუაშრეებით. ეს ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით, რომლებიც დეპრესიის შემომსაზღვრელი ქედების დეზინტეგრაციის შედეგს წარმოადგენენ. ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან თიხური გრუნტებით, რომლებიც წყალშემცველი ქვიშნარის შუაშრეებს და ხვინჭას შეიცავენ. ზემოდან ამ ნალექებზე განლაგებულია ნაყარი გრუნტის მძლავრი ფენა.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლები ქვიშნარის შუაშრეებშია გავრცელებული. იგი ინფილტრაციული ხასიათისაა. მისი კვების არე ახლომდებარე ქედების მაღალი წერტილებია, განტვირთვის არე –– დიღმის დეპრესია.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

უბნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების სირთულით, ს.ნ და წ. 1.02.07.-87-ის დან. 10-ის მიხედვით უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია ექვსი ჭაბურღილი მაქსიმალური სიღრმით 30,0 მ-დე. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე უბანზე გამოყოფილია ხუთი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQIV – თიხური მასა კენჭების და ღორღის ჩანართებით, შემკვრივებული. გრუნტი დაახლოებით 35-40 წლის წინ მშენებარე საცხოვრებელი სახლების ქვაბულებიდან იყო ამოღებული და დაიყარა ფერდობზე. შექმნილი აქვს ტექნოგენური ციცაბო რელიეფი. ამიტომაც, ნაყარი შედგენილობით ერთგვაროვანია, მცირე რაოდენობით შეიცავს ღორღსა და კენჭებს. გრუნტის თვითშემკვრივების პროცესი სნ და წ. 2.02.01-83 ცხრ. 132-ის თანახმად დასრულებულია დროის შესაბამისი პერიოდის

გასვლის გამო. გრუნტი შემკვრივებულია და ფლობს გარკვეულ სტრუქტურას. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ^2 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ.1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,76
2	ჩონჩხის სიმკვრივე	$ρ_δ$	გ/სმ^3	1,46
3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,73
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ	0,200
5	ფორიანობა	n	%	46
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,863
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,370
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,183
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	18,7
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,09
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,6
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	20º
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,14
14	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,42
15	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	110
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	1,8

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-ა– II კატეგორიას

ფენა №2 თიხა - pdQ_{IV} – მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 10 ნიმუშით. 6 ნიმუშზე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები 0,5 კგძ/სმ^2 საფეხურებრივი დატვირთვით 3,0 კგ-მდე. 3 ნიმუშზე ჩატარდა კომპრესიული გამოცდა საფეხურებრივი დატვირთვით 0,25 კგძ/სმ^2 3,0 კგ-მდე. 2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას მიეწოდა წყალი. გამოცდამ აჩვენა რომ, ჩაჯდომის მოდული lp = 49-55 მმ/მ, რაც პროფ. მასლოვის კლასიფიკაციის მიხედვით გრუნტს III კატეგორიას, ანუ მომეტებულადკუმშვად გრუნტებს მიაკუთვნებს. ფარდობითი ჩაჯდომადობა $ε_{sl}$ = 0,003 - 0.005, რაც გრუნტის არაჯდომად ხასიათზე მიუთითებს. კომპრესიულ ხელსაწყოში ნიმუშის სამდღიანი დასველების შემდეგ დადგინდა, რომ გრუნტს ჯირჯვადი თვისებები

არ ახასიათებს. 2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას განისაზღვრა დეფორმაციის მოდული. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის პირობითი საანგარიშო მნიშვნელობა მიღებულია პნ 01.05-08 დანართი 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 2

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,87
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρ_δ	გ/სმ^3	1,47
3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,73
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,269
5	ფორიანობა	n	%	46
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,859
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,416
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,199
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	21,8
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,32
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,8
12	პუასონის კოეფიციენტი	μ		0.42
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	160
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	20^0
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,47
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 თიხა – $P_3+N^1_1$ – მოყვითალო ფერის, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელების თხელი შუაშრეებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. შესაწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ბუნებრივი ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის დან. 2, ცხრ. 2, ცხრ. 3-ის, დან. 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე მიღებულია გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების მნიშვნელობები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1.93
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_δ	გ/სმ^3	1,59
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ	0,215
5	ფორიანობა	n	%	42
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,712
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,380
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,189
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	19,2
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,14
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,8
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	19^0
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,54
14	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,42
15	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	220
16	საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	3.8

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8 – ე – III კატეგორიას

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას

ფენა №4 თიხა – $P_3+N^1_1$ – მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, შრეებს შორის ქვიშაქვის თხელი შუაშრეებია, მყარი კონსისტენციის. ნიმუშები წყალში სამდღიანი დასველებისას დაიშალა რბილპლასტიური თიხის მდგომარეობამდე. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 10 ნიმუშით ბუნებრივი ტენიანობის პირობებში. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის დან. 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 4-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 4

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2.00
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_δ	გ/სმ^3	1,71
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,73
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ	0,167
5	ფორიანობა	n	%	37

6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,594
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,481
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,226
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	25,5
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,00
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,8
12	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,35
13	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	20^0
14	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,71
15	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	280
16	საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	6,0

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8 – д – IV კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №5 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – P^3_2 – მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად გამოფიტული, სუსტად ნაპრალიანი. ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანია, თიხურ-კარბონატულ ცემენტზე, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტები ქვიშაქვის ფენებს შორის შუაშრეების სახით არის გავრცელებული. ტექსტურა შრეებრივია. არგილიტის შუაშრეები მკვრივია, მდგრადი, ამიტომ, ფენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, რადგან მათ შორის კავშირი მტკიცეა. არგილიტის და ქვიშაქვის შრეები დასტებად არიან განლაგებულნი. მათი შეფარდება კერნის 80%-იანი ამოღების პირობებში 30:70, თუმცა, სიმტკიცის ზღვარი მიღებულია 50:50 ფარდობით. არგილიტის სამ და ქვიშაქვის სამ ნიმუშზე ჩატარდა ლაბორატორიული გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე, გამომშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში. ფენის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 5-ში. ცხრ. 5

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,25
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში	R_C	მპა	7,9
3	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
4	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,20

სახსტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, დარბილებად, მცირე სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-б-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი ქვიშნარის შუაშრეებში, 1,8-13,0 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა. წყალი მაღალი მინერალიზაციისაა – 11,4 გ/ლ, ქიმიური შედგენილობით წყალი სულფატურ-მაგნიუმ-ნატრიუმ-კალციუმიანია. იგი ძლიერ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული სახ.სტანდარტი 22266-76 სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W_4, W_6, W_8 მარკის ბეტონების მიმართ.

წყალი საშუალოდ აგრესიულია არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების პერიოდული დასველების დროს.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.10.07.007.154 მდებარეობს ტექნოგენურ, უსწორმასწორო რელიეფზე, ნიშნულებით 480,0 – 500,5 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დროს შესწავლილი იქნა როგორც სამხრეთი ფერდობი, ასევე მთლიანად მომიჯნავე ტერიტორია, რის შედეგადაც დადგინდა რომ, მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, სელი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის, ამიტომ, მასზე საინჟინრო დაცვის ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის.
2. საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო ხუთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი – სგე: ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 6-ში. ცხრ.6

	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ, გ/სმ³	ხვედრითი .შეჭიდულობაC კგძ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში Rc მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro კპა	ტენიანობის ხარისხი S_r	დეფორმაციის მოდული E მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში Rc მპა

I	A_n	1.76	0.14	20°		180	0.6	11	0.42	ნაყარი თიხა
	α =0,85	1,73	0.10	19°						
	α =0,95	1,72	0.07	18°						
II	A_n	1.87	0,47	20°		250	0,8	16	0.42	თიხა ძნელპლასტიური
	α =0,85	1,84	0,44	19°						
	α =0,95	1,82	0,43	18°						
III	A_n	1,93	0,54	19°		380	0,8	22	0.42	თიხა ნახევრადმყარი
	α =0,85	1.92	0.54	19°						
	α =0,95	1.91	0.36	17°						
IV	A_n	2.00	0,71	20°		600	0.7	28	0.42	თიხა მყარი
	α =0,85	1.98	0,64	19°						
	α =0,95	1,96	0,59	17°						
V	A_n	2.25			7.9			2000	0.25	ქვიშაქვა
	α =0,85	2.22			5.8					
	α =0,95	2.20			4.4					
შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება – ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას α=0.95, დეფორმაციაზე გაანგარიშებისას α=0.85										

1. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს ნაყარ გრუნტს – თიხას, რომელიც ახლო მდებარე ქვაბულებიდან 30-40 წლის წინ ამოღებულ და ხევის ამოსავსებად გამოყენებულ გრუნტს წარმოადგენს. გრუნტი შემკვრივებულია და ფლობს გარკვეულ სტრუქტურას. ნაყარი სამშენებლო მოედნის ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილში მაქსიმალურია 12,0-12,5 მ, სამხრეთით, ფერდობის ძირში მისი სიმძლავრე კლებულობს და 1,0-2,0 მ-ია. მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად რეკომენდირებული არ არის.
2. II სგე წარმოადგენს ძნელპლასტიურ თიხას, რომელსაც აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის დაბალი მახასიათებლები, კუმშვადობის მიხედვით მომეტებულად კუმშვადია. მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად რეკომენდებული არ არის.
3. III სგე და IV სგე წარმოადგენს მაიკოპის ტიპის ძირითად თიხებს. გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები დამაკმაყოფილებელია, თუმცა, ზედაპირიდან ღრმად განლაგების გამო, მათზე შენობის დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ კიდული ხიმინჯების საშუალებით.

4. IV სგე წარმოადგენს არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობას. გრუნტი სუსტად ნაპრალიანია, შრეებს შორის დაფიქსირდა მხოლოდ ძაფისებრი ნაპრალები და კავშირი შრეებს შორის მტკიცეა. ჭაბურღილიდან ამოღებული კერნების ანალიზის საფუძველზე, რეალურად, მასივში ქვიშაქვების რაოდენობა 70%-ია, თუმცა, მახასიათებლების ანგარიშის დროს ქვიშაქვების და არგილიტების შეფარდებად მიღებულია 50:50. გრუნტს აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები. იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად, საძირკვლის ტიპი – ბურღვით-ნატენი ხიმინჯები.
5. გრუნტის წყალი დაფიქსირდა 1,8-13.0 მ-ის სიღრმეზე. წყალი ძლიერი სულფატური აგრესიით ხასიათდება, ამიტომ, ხიმინჯებში გამოყენებულ იქნეს სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი ბეტონი.
6. ქვაბულის მოწყობის დროს, სადრენაჟო და წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87 თავი 2-ის მოთხოვნები, ხოლო წყლის მოდენა ქვაბულის 1 $მ^2$-ზე მიღებული იქნეს 0.01 ლ/წმ.
7. ქვაბულის გახსნის დროს ატმოსფერული ზემოქმედების გამო, გრუნტის თვისებები იცვლება. ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი, რომლის დახრაც განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით, 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხებისთვის მიიღება 1:0,5 ანუ 63°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
8. საპროექტო შენობიდან მის მომიჯნავედ განლაგებული ნაგებობები 20,0 მ-ზე მეტი მანძილით არიან დაშორებულნი, ამიტომ, მათზე საპროექტო შენობა და ქვაბულის მოწყობა გავლენას ვერ მოახდენს. ქვაბულის მოწყობა განხორციელდეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნების შესაბამისად.
9. ქ. თბილისი, "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A - 0,17; ხოლო იმავე

დოკუმენტის ცხრილი №1-ის მიხედვით, მოედნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი  გ. სადრაძე

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია ს.ს. "ფროფერთი"-ს კონსტრუქტორის მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება მრვალფუნქციური შენობა

2. ობიექტის მდებარეობა ~~თბილისი, საბურთალოს რაიონი. ნაკვ. №01.10.07.007.154~~
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ~~ახალმშენებლობა~~
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია სტადია პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში ოცდახუთსართულიანი 29,4x60,9 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00=500,5 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 493,9 მ

9. შენობის ტიპი კარკასულ-მონოლითური
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები ~~გეოლოგიური კვლევების საფუძველზე~~

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე ~~1500 ტ/მ~~

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1 : 500 1

შენიშვნა

კონსტრუქტორი



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი				
დირექტორი	თ. ხევცურიანი		ჭაბურღილების განლაგების სქემა				
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე						
შეასრულა	თ. ხევცურიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა/პროექტი	1	4	უმასშტაბო	"თბილინვესტპროექტი"



პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი ბრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

2 — თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით და ქვიშნარის შუაშრეებით, ძნელპლასტიური.

3 — თიხა მოყვითალო ფერის, შანბისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერბელის თხელი შუაშრეებით, ნახევრადმყარი.

4 — თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

5 — ქვიშაქვის და არგილიტის მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

9,4(487,9) — ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი				
დირექტორი	თ. ხვციურიანი						
ინჟგეოლოგი	ბ. სალრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I				
შესრულა	თ. ხვციურიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.ა.ს
			პროექტი	2	4	1:200	"თბილინჯინიერინგპროექტი"



ნიშნული	484,0	487,3	500,5
მანძილი		23,0	30,0

პირობითი ნიშნები

1 — ნაყარი ბრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

2 — თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით და ქვიშნარის შუაშრეებით, ძნელპლასტიური.

3 — თიხა მოყვითალო ფერის, შანბისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერბელის თხელი შუაშრეებით, ნახევრადმყარი.

4 — თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

5 — ქვიშაქვის და არგილიტის მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

9,4(487,9) — ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი				
დირექტორი	თ. ხვიცურიანი						
ინჟგეოლოგი	ბ. სალრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II				
შესრულა	თ. ხვიცურიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	3	4	1:200	"თბილინჯსტროექტი"



ნიშნული	500,5		501,5
მანძილი		22,0	

პირობითი ნიშნები

1 — ნაძარი ბრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

2 — თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით და ქვიშნარის შუაშრეებით, ძნელპლასტიური.

3 — თიხა მოყვითალო ფერის, ქანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელის თხელი შუაშრეებით, ნახევრადმყარი.

4 — თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

5 — ქვიშაქვის და არგილიტის მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

9,4(487,9) — ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტი				
დირექტორი	თ. ხვიცურიანი						
ინჟ.გეოლოგი	ბ. სარაჯი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი III-III				
შესრულა	თ. ხვიცურიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	4	4	1:200	"თბილინკონსტრუქტი"

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 501.5

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სავების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოხენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12	tQIV		12.0	12.0	489.5	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული	12.0		3.5
13 14 15 16	pdQIV		15.8	3.8	485.7	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური.			12.8 14.0 15.2
17	P3+ N¹1		16.8	1.0	484.7	თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახვრალმყარი.			16.5
18 19 20 21 22 23 24 25	P3+ N¹1		24.8	8.0	476.7	თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			18.0 20.0
26 27 28 29 30	P3²		30.0	5.2	471.5	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			26.4

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 500.5

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12	tQIV		12.4	12.4	488.1	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული			6.5
13 14 15 16	pdQIV		16.0	3.6	487.5 484.5	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური.	13.0		14.0 15.2
17	P3+ N¹1		17.5	1.5	483.0	თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი.			17.0
18 19 20 21 22 23 24	P3+ N¹1		24.5	7.0	476.0	თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			18.2 21.0
25 26 27 28 29 30	P3²		30.0	5.5	470.5	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			27.2

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №3 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 500.5

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12	tQIV		12.5	12.5	488.0	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული			9.0
13 14	pdQIV		14.0	1.5	487.9 486.5	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური.	12.6		13.8
15 16	P3+ N¹1		16.4	2.4	484.1	თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი.			15.7
17 18 19 20 21 22 23	P3+ N¹1		23.4	7.0	477.1	თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			18.0 21.0
24 25 26 27 28 29 30	P3²		30.0	6.6	470.5	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			28.0

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №4 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 484.0

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოხენა მ	ღონის დაშვრება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.0	2.0	482.0	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული			1.8
3 4 5	pdQIV		5.0	3.0	479.0	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური.			3.0 4.2
6 7 8	P3+ N¹1		8.6	3.6	475.4	თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი.			6.0
9 10	P3+ N¹1		10.4	1.8	473.6	თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			9.2
11 12 13 14 15	P3²		15.0	4.6	469.0	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			11.5

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №5 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 483.5

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სავების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV				481.7	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ნანართებით, შემკვრივებული	1.8		
2			2.0	2.0	481.5				1.2
2	P3+ N¹1					თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი.			
3									
4									3.8
5									
6									
7			7.2	5.2	476.3				
8	P3+ N¹1					თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			
9									8.2
10			10.5	3.3	473.0				
11	P3²					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			
12									
13									12.2
14									
15			15.0	4.5	468.5				

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №6 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 487.3

მეტრაჟი	გეოლოგიური ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სავების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დაცარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.0	2.0	485.3	ნაყარი გრუნტი: თიხური მასა ღორღის და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული			1.8
3 4	pdQIV		4.2	2.2	483.1	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და			2.8 3.8
5 6 7	P3+ N¹1		7.2	3.0	480.1	თიხა მოყვითალო, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი.			5.2
8 9 10 11	P3+ N¹1		11.5	4.3	475.8	თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.			8.2 10.5
12 13 14 15	P3²		15.0	3.5	472.3	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, სუსტად ნაპრალიანი, მცირე სიმტკიცის.			13.8

პროექტის დასახელება: თბილისი, საბურთალოს რ-ნი, დიდი დიღომი, ნაკვ. №01.10.07.007.154

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

რიგითი №	ჭაბურღილის/შურფის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ													ტენიანობა W%		პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ³			ფორიანობის კოეფიციენტი, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S_z	სიმტკიცე ჰაერშრობილ მდგომარეობაში Rc მპა	სიმტკიცე წყალნაჯერმდგომარეობაში Rc მპა	დარბილების კოეფიციენტი k	შეჭიდულობა, c, კგძ/სმ2	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემაღსებელი	ზღვარი, W_L%	ზღვარი, W_p%	პლასტიურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d								
1	1	3.5														19.9		42.2	18.2	24.0	0.07	2.74	1.77	1.48	46	0.856	0.64				0.10	19	თიხა ნახევრადმყარი
2	2	6.5														20.3		45.5	19.1	26.4	0.05	2.74	1.79	1.49	46	0.841	0.66				0.13	19	თიხა ნახევრადმყარი
3	3	9.0														19.5		34.8	16.5	18.3	0.16	2.74	1.80	1.51	45	0.819	0.65				0.05	23	თიხა ნახევრადმყარი
4	4	1.8														22.0		31.3	19.5	11.8	0.21	2.72	1.77	1.45	47	0.875	0.68				0.18	17	თიხნარი ნახევრადმყარი
5	5	1.2														18.2		24.3	18.2	6.1	0.00	2.68	1.68	1.42	47	0.886	0.55				0.18	21	ქვიშნარი პლასტიური
6	6	1.8														20.0		43.7	18.3	25.4	0.07	2.74	1.73	1.44	47	0.901	0.61				0.21	18	თიხა ნახევრადმყარი
7	4	3.0														24.9		29.4	23.3	6.1	0.26	2.68	1.79	1.43	47	0.870	0.77						ქვიშნარი პლასტიური
8	1	12.8														26.2		45.8	18.4	27.4	0.28	2.74	1.87	1.48	46	0.849	0.85				0.42	21	თიხა ძნელპლასტიური
9	1	14.0														26.8		44.5	20.6	23.9	0.26	2.74	1.92	1.51	45	0.810	0.91				0.45	19	თიხა ძნელპლასტიური
10	1	15.2														27.4		42.2	18.9	23.3	0.36	2.74	1.95	1.53	44	0.790	0.95				0.45	18	თიხა ძნელპლასტიური
11	4	4.2														26.9		43.2	21.3	21.9	0.26	2.74	1.85	1.46	47	0.879	0.84						თიხა ძნელპლასტიური
12	6	2.8														28.3		45.8	19.4	26.4	0.34	2.74	1.78	1.39	49	0.975	0.80						თიხა ძნელპლასტიური
13	2	14.0														28.6		41.2	19.3	21.9	0.42	2.74	1.93	1.50	45	0.826	0.95				0.54	19	თიხა ძნელპლასტიური
14	2	15.2														25.5		40.2	17.4	22.8	0.36	2.74	1.90	1.51	45	0.810	0.86				0.45	19	თიხა ძნელპლასტიური
15	6	3.8														26.2		42.1	20.4	21.7	0.27	2.74	1.87	1.48	46	0.849	0.85						თიხა ძნელპლასტიური
16	3	13.8														28.4		41.8	19.5	22.3	0.40	2.74	1.82	1.42	48	0.933	0.83				0.51	19	თიხა ძნელპლასტიური
17	1	19.2														22.6		38.4	19.3	19.1	0.17	2.72	1.98	1.62	41	0.684	0.90						თიხა ნახევრადმყარი
18	2	17.0														21.5		37.8	18.9	18.9	0.14	2.72	1.89	1.56	43	0.749	0.78						თიხა ნახევრადმყარი
19	3	18.2														21.3		38.6	19.5	19.1	0.09	2.73	1.96	1.62	41	0.690	0.84						თიხა ნახევრადმყარი
20	4	18.5														22.7		39.3	19.1	20.2	0.18	2.72	1.99	1.62	40	0.677	0.91						თიხა ნახევრადმყარი
21	5	3.8														20.8		36.5	18.2	18.3	0.14	2.73	1.97	1.63	40	0.674	0.84						თიხა ნახევრადმყარი

№ რიგითი	№ ჭაბურღილის/შურფის	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ													ტენიანობა W%		პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S_r	სიმტკიცე ჰაერშრობაზე მდგომარეობაში Rc მპა	სიმტკიცე წყალნაჯერმდგომარეობაში Rc მპა	დარბილების კოეფიციენტი k	შეჭიდულობა, c, კგ/სმ2	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემაფსებელი	ზღვა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d									
22	5	5.2														20.4		36.1	19.7	16.4	0.04	2.72	1.93	1.60	41	0.697	0.80						თიხა ნახევრადმყარი
23	1	21.2														16.3		52.0	23.7	28.3	-0.26	2.72	2.02	1.74	36	0.566	0.78				0.71	20	თიხა მყარი
24	1	23.5														16.1		53.7	24.9	28.8	-0.31	2.73	2.04	1.76	36	0.554	0.79				0.84	21	თიხა მყარი
25	2	18.2														17.4		50.5	22.7	27.8	-0.19	2.73	2.00	1.70	38	0.603	0.79				0.65	21	თიხა მყარი
26	2	21.0														16.2		52.7	20.6	32.1	-0.14	2.72	2.04	1.76	35	0.549	0.80				0.67	20	თიხა მყარი
27	3	20.5														16.4		35.6	19.9	15.7	-0.22	2.72	1.97	1.69	38	0.607	0.73						თიხნარი მყარი
28	3	23.0														15.1		52.3	23.7	28.6	-0.30	2.74	2.07	1.80	34	0.524	0.79						თიხა მყარი
29	4	21.2														15.5		48.3	20.4	27.9	-0.18	2.73	2.05	1.77	35	0.538	0.79				0.81	19	თიხა მყარი
30	4	24.0														19.3		34.7	19.2	15.5	0.01	2.72	1.94	1.63	40	0.673	0.78						თიხნარი ნახევრადმყარი
31	5	14.0														16.2		51.7	24.9	26.8	-0.32	2.74	2.05	1.76	36	0.553	0.80				0.63	18	თიხა მყარი
32	6	22.0														16.7		50.5	25.2	25.3	-0.34	2.74	2.00	1.71	37	0.599	0.76						თიხა მყარი
33	1	26.4														7.0							2.29					16.9	10.5	0.62			ქვიშაქვა მონაცრისფრო
34	2	27.2														5.6							2.32					19.8	13.1	0.66			ქვიშაქვა მონაცრისფრო
35	3	28.0														9.0							2.33					18.6	11.8	0.63			ქვიშაქვა მონაცრისფრო
36	4	11.5														8.4							2.22					9.0	4.4	0.49			არგილიტი მონაცრისფრო
37	5	12.2														10.0							2.19					6.8	3.4	0.50			არგილიტი მონაცრისფრო
38	6	13.8														11.3							2.16					8.9	4.0	0.45			არგილიტი მონაცრისფრო

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი : თ. ხვიცურიანი

თარიღი: 7.12.2021

ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ჭანის ადწერა	ჭაბ/შურფის №	1
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	1
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	3.5 3.7

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკ. მიხ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	19.90	1.77	2.74	1.48	46.1	0.856	42.20	18.20	24.0	0.07	0.64

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.44	0.340	19	0.10	ბუნებრივ
2	0.79				
3	1.12				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ჭანის ადგილა	ჭაბ/შურფის №	2
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	2
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	6.5 6.7

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მიხ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	1	20.30	1.79	2.74	1.49	46	0.841	45.50	19.10	26.4	0.05	0.66

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C პპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.48	0.350	19	0.13	ბუნებრივი
2	0.83				
3	1.18				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ქანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	3
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	3
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	9.0 9.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	19.50	1.80	2.74	1.51	45	0.819	34.80	16.50	18.3	0.16	0.65

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.47	0.420	23	0.05	ბუნებრივი
2	0.88				
3	1.31				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12	2021
ჭაბურღილის ადგილი	ჭაბ/შურფის №	4	
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	4	
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	1.8	2.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყობის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტურობის რიცხვი I_P	დენადობის მახვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	3	22.00	1.77	2.72	1.45	47	0.875	31.30	19.50	11.8	0.21	0.68

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.49	0.310	17	0.18	ბუნებრივი
2	0.80				
3	1.11				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

აღგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ჭანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	5
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	5
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	1.2 1.4

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკ. მიხ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	18.20	1.68	2.68	1.42	47	0.886	24.30	18.20	6.1	0.00	0.55

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.56	0.385	21	0.18	ბუნებრივი
2	0.95				
3	1.33				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ჭანის ადგილა	ჭაბ/შურფის №	6
თიხა მოყვითალო ფერის,	ნიმუშის №	6
ნახევრადმყარი	სიღრმე მ	1.8 2.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაყ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ძნელა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი S_r
ბუნებრივი	2	20.00	1.73	2.74	1.44	47	0.901	43.70	18.30	25.4	0.07	0.61

ნორმალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულება, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.53	0.320	18	0.21	ბუნებრივი
2	0.84				
3	1.17				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ნაკვ. №01.10.07.007.154	სტადია	პროექტი
	თარიღი	7.12 2021
ქანის აღწერა თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ძნელპლასტიური.	ჭაბ/შურფის №	1
	ნიმუშის №	1
	სიღრმე მ	12.8 13.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	1	26.20	1.87	2.74	1.48	45.9	0.849	45.80	18.40	27.4	0.28	0.85

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიგა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.79	0.375	21	0.42	ბუნებრივი
2	1.18				
3	1.54				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12	2021
ჭანის ადგილი	ჭაბ/შურფის №	1	
თიხა მოყვითალო-ყავისფერი,	ნიმუშის №	2	
ძნელპლასტიური.	სიღრმე მ	14.0	14.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მიხ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	1	26.80	1.92	2.74	1.51	45	0.810	44.50	20.60	23.9	0.26	0.91

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.78	0.340	19	0.45	ბუნებრივი
2	1.14				
3	1.46				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ნაკვ. №01.10.07.007.154	სტადია	პროექტი
	თარიღი	7.12 2021
ქანის აღწერა თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ძნელპლასტიური.	ჭაბ/შურფის №	1
	ნიმუშის №	3
	სიღრმე მ	15.2 15.4

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი S_r
ბუნებრივი	2	27.40	1.95	2.74	1.53	44	0.790	42.20	18.90	23.3	0.36	0.95

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.77	0.330	18	0.45	ბუნებრივი
2	1.12				
3	1.43				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12	2021
ჭანის ადგილი	ჭაბ/შურფის №	2	
თიხა მოყვითალო-ყავისფერი,	ნიმუშის №	4	
ძნელპლასტიური.	სიღრმე მ	14.0	14.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვედრაწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	3	28.60	1.93	2.74	1.50	45	0.826	41.20	19.30	21.9	0.42	0.95

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულება, C კპა/სმ²	დგომარეობა
1	0.87	0.335	19	0.54	ბუნებრივი
2	1.23				
3	1.54				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12	2021
ჭანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	2	
თიხა მოყვითალო-ყავისფერი,	ნიმუშის №	5	
ძნელპლასტიური.	სიღრმე მ	15.2	15.4

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქცევა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მახვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი S_r
ბუნებრივი	2	25.50	1.90	2.74	1.51	45	0.810	40.20	17.40	22.8	0.36	0.86

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.79	0.345	19	0.45	ბუნებრივი
2	1.15				
3	1.48				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12	2021
ჭანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	3	
თიხა მოყვითალო-ყავისფერი,	ნიმუშის №	6	
ძნელპლასტიური.	სიღრმე მ	13.8	14.0

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მიწ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	1	28.40	1.82	2.74	1.42	48	0.933	41.80	19.50	22.3	0.40	0.83

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კუთხეთანგ. $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ0	შეჭიდულება, C პპა/სმ²	მდგომარეობა
1	0.85	0.335	19	0.51	ბუნებრივი
2	1.18				
3	1.52				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
თბილისი, საბურთალოს რ-ნი,	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.10.07.007.154	თარიღი	7.12 2021
ჭანის ადგილა	ჭაბ/შურფის №	1
თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო	ნიმუშის №	1
მყარი	სიღრმე მ	18.0 18.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

ბრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვრივე ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
